ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 182

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის №19.397.542 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გარდაბანი, წყნეთის ტერიტორიაზე მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.20.01.012.059) და ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ირაკლი კიკაჩეიშვილის (პ/ნ: 01008010636) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.20.01.012.030) და ქალაქ თბილისში, წყნეთში მდებარე 1001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.20.01.012.066) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე